პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 მარტი სამშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 65 (15886)

ხუთწლედის მოწინავენი



ქუთაისის ავტომობილთა საწარმოო გაერთიანების ხათავო საწარმოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის ორი თვის გეგმა. საწარმოში სისტემატურად იდგმება უახლესი მანქანები და მოწყობილობა, რაციონალიზატორები მნიშვნელოვან სიახლეებს ნერგავენ. ყოველივე ეს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას საშუალებას იძლევა.

ამ ცოტა ხნის წინ № 3 საამქროში დაიდგა 100 ახალი ჩეხური პნევმატური დაზგა, ამან მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

დიდი მოთხოვნით სარგებლობს ნატურალური ავტომობილის ქსოვილი „მზია". მას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. ქუთაისის ავტომობილის გაერთიანების პროდუქცია ჩვენი ქვეყნის 240 ადრესატს ეგზავნება.

სურათებზე: ზემოთ — დამამზადებელი საამქროს ერთ-ერთი უბანი, ქვემოთ — № 3 საამქროს მოწინავე მქსოველი ნანული სითთაშვილი. იგი 12 დაზგას ემსახურება და გეგმას 110-115 პროცენტით ასრულებს.

მ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს შეხვედრის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს შეხვედრის შედეგები და სავსებით მოიწონეს და მაღალი შეფასება მისცეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ მუშაობას ტრადიციული საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და ჟ. პომპიდუს შეხვედრამ დაადასტურა, რომ ცხოველმყოფელი და ეფექტიანია მეგობრული ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების კურსი, რომელიც საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა აირჩიეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი მტკიცე გადწყვეტილება კიდევ უფრო განავითარონ და გააღრმაონ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა.

შეხვედრის შედეგები იმპულსს აძლევენ ორი ქვეყნის პოლიტიკური კონსულტაციების, სავაჭრო-ეკონომიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, რაც სავსებით შეესაბამება იმ დოკუმენტებს, რომლებიც ორივე მხარემ საფუძვლად დაუდო თავიანთი ურთიერთობის განვითარებას, სახელდობრ „სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპებს" და საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ოქმს კონსულტაციების შესახებ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ჟ. პომპიდუს საუბრების დიდმნიშვნელოვანი შედეგია მათი თანხმობა გააძლიერონ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთმოქმედება ევროპაში დაძაბულობის შეხელების განმტკიცების, სრულიად ევროპის თანმიერის წარმატებით დამთავრებისათვის. დადებითი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შეთანხმებას თავიანთი პოზიციების სიახლოვეზე დაყრდნობით გააქტიურონ კონსულტაციები ახლო აღმოსავლეთში მყარი და სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მიღწეულ შეთანხმებას — განაგრძონ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სისტემატური კონტაქტები უმაღლეს დონეზე.

ბრეჟნევის შეხვედრა უთუოდ შეიტანს წვლილს ორი ხალხის ურთიერთგანდობისა და პატივისცემის გაჩეტიკეებაში, ხალხებისა, რომელიც წელს აღნიშნავენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავს.

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს შეხვედრის შედეგებს, რადგან ეს შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყ ვ ე ლ ა ნ ი კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ შ ა ბ ა თ ო ბ ა ზ ე!

ვ. ი. ლენინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის ყოველწლიური მოწყობა, რომელიც შრომის ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენს, კარგ ტრადიციად იქცა. წელს მოსკოვის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა 20 აპრილს მოეწყოს შრომითი „წითელი შაბათობა" — ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობა.

მოსკოვის მოწინავე მუშათა თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს ინოომელები, ომოლებმაც გადაწყვეტეს შაბათობის დღეს მიაღწიონ უმაღლეს გამომუშავებას, ამის შედეგად უზრუნველყონ შრომის მაღალი რიტმი, რაც გათვალისწინებულია ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის სახელმწიფო დავალებებით, შემხვედრი გეგმებითა და სოციალისტური ვალდებულებებით.

რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტურ შაბათობას ხვდებიან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით, უმაღლესი ჯილდოთი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით აღფრთოვანებულნი, რომელიც რესპუბლიკამ მიიღო ძრეწვლობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში.

მშრომელთა კოლექტივები ითვალისწინებენ, რომ დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა პირნათლად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, იმ დებულებებითა და დასკვნებით დასახული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან, განსაზღვრავენ სოციალისტური შეჯიბრების ახალ მიჯნებს და უპირველეს ყურადღებას უთმობენ ეკონომიური განვითარების ტემპის დაჩქარების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მასალების დაზოგვისა და ყაირათიანობის უზრუნველყოფის ამოცანებს.

1974 წლის სახელმწიფო დავალებების, დაძაბული შემხვედრი გეგმებისა და გადიდებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება იმის საწინდარი გახდება, ოთ უთუოდ ძესრულდება მთლიანად მეცხრე ხუთწლედის ამოცანები, საიმედო საფუძველი ჩაეყრება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილების განხორციელებას, რომელიც ისტორიულია ჩვენი რესპუბლიკისათვის.

საქმიანად ემზადებიან რა შაბათობისათვის, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები შეიმუშავებენ ხოლმე კონკრეტულ ვალდებულებებს. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში შაბათობაში მონაწილეობას მიიღებენ საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც აპირებენ გამოიმუშაონ 70 ათასი მანეთის პროდუქცია და მეცხრე ხუთწლედის ფონდში შეიტანონ ხუთი ათასი მანეთი. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათამშენებელო ქარხნის კოლექტივი, რომელიც დაზოგილი მასალებით იმუშავებს, გამოუშვებს რვა ათასი მანეთის პროდუქციას. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშრომელები შრომის დღესასწაულის დროს გამოიმუშავებენ 50 ათას მეტრ აბრეშუმის ქსოვილებსა და 38 ათას მეტრ ხამ აბრეშუმს.

შაბათობისათვის აქტიური მზადება გაჩაღდა ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებში.

შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან რესპუბლიკის სოფლის მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები. ისინი კეთილმოწყობენ და გააშენებენ ქალაქებსა და სოფლებს, საწარმოთა და დაწესებულებათა ტერიტორიებს, სპორტულ ნაგებობებს.

რესპუბლიკის იმ მოწინავე კოლექტივების პატრონიტან თაოსნობას, რომლებმაც გაიზიარეს მოსკოველთა მოწოდება 20 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა, მხარი დაუჭირა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც მიბაძეს მოსკოველთა მაგალითს და გადაწყვიტეს 20 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის სალქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უზრუნველყონ მასობრივი კომუნისტური შაბათობის მოწყობა მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე. ამ მიზნით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რომ გაიაზოლოს ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შაბათობის მომზადებასა და მოწყობაში მშრომელთა ფართო ჩაბმისათვის. ეს დღე უნდა აღინიშნოს შრომის უდიდესი ნაყოფიერებით, დაზოგილი ნედლეულით უნდა დამზადდეს უმაღლესი ხარისხის მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქცია.

მსხვილ საწარმოებში შეიქმნება კომუნისტური შაბათობის მომწყობი შტაბები. თვითეულ შრომითს კოლექტივში უნდა შეიმუშაონ სამუშაოთა კონკრეტული გეგმები. იმ მუშაკებს, რომლებიც შაბათობის დღეს განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს, წაახალისებენ.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს ალკკ სალქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა კომუნისტურ შაბათობაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მასობრივი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც დიდი პოლიტიკური შეგნებულობა გამოიჩინეს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კომუნისტურ შაბათობაში, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, 1974 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში. (საქინფორმი).

მშენებელთა სიტყვა

თბილისი. „მთავართბილმშენის" მე-14 ტრესტის კოლექტივმა გადაწყვიტა შაბათობის დღე — 20 აპრილი გამოცხადოს დამკვრელურად და 60 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულოს. ტრესტის ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს შაბათობის ორგანიზებულად ჩატარების ერთიანი გეგმა.

შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს ტრესტის 2.200 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ტრესტის საწარმოები ამ დღეს გამოუშვებენ 11 ათასი მანეთის პროდუქციას. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 7 ათასი მანეთი.

ამ დღეს დიდი სამუშაოები აქვს განსაზღვრული მე-2 საწარმო კომბინატის კოლექტივს. მათ უნდა კეთილმოაწყონ კომბინატის ტერიტორია, დარგონ ხეები, მოაწყონ სკვერი, გააკეთონ სპორტული მოედანი. № 3, № 6, და № 7 სამშენებლო სამმართველოების კოლექტივები კეთილმოაწყობენ გლდანის მასივში ახლად გახსნილ მუშათა სასადილოს ტერიტორიას. კარგ საჩუქარს უმზადებენ თბილისელ ახალმოსახლეებს № 3, 6, 8, სამშენებლო სამმართველოს კოლექტივები. ვადაზე ადრე 20 აპრილისათვის გლდანის დასახლებაში საექსპლოატაციოდ ჩააბარებენ ორ საცხოვრებელ სახლს, რომელთა ფართობი 7 ათას კვადრატულ მეტრს უდრის.

შაბათობაში თავის წვლილს შეიტანენ ტრესტის ცნობილი მშენებლები სოციალისტური შრომის გმირები ვ. ჭელიძე, ნ. ომერიძე, ქართველი ზლობინელები ვ. გალდავა, ვ. მკალავიშვილი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი მუშები პ. სმირნოვი, გ. მარკარიანი და სხვ.

მშენებლობებზე და საწარმოებში ჩატარდება კონცერტები, ლექციები და შეხვედრები.

ეს რედაქციას აცნობეს № 14 სამშენებლო ტრესტის მმართველმა ბ. კვინიძემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა პ. იმიდაძემ.

ემზადებიან შაბათობისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). **ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა საერთო კრებაზე ერთხმულად გადწყვიტეს 20 აპრილს დარაზმულნი გამოვიდნენ ქარხნის საამქროებში და საწარმოს ტერიტორიაზე სამუშაოდ.** ვინც უშუალოდ საამქროებში პროდუქციის გამოშვებაზე არ იქნება დასაქმებული, იმუშავებს საწარმოს კეთილმოწყობაზე, გამწვანებაზე.

წინასწარი გაანგარიშებით გასაზღვრულია, რომ ამ დღეს მანქანათმშენებლები 25.000 მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, ხოლო გამომუშავებულ ნელოსას 4.400 მანეთს გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში.

5 ხუთწლედის გასაბჭოებლად ნაღდ-ტყვიანი შრომა!

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი მოსკოვში

18 მარტს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვეულთ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ტრიუგვე ბრატელი.

ნორვეგიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ნორვეგიის მთავრობის მეთაურს შეხვედნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ა. ანდროპოვი, ა. ნ. კოსიგინის მოადგილეები ნ. ტ. ფედორენკო, ვ. ვ. ნოვიკოვი, ა. ნ. ტიხონოვი, ა. ნ. ბელუსოვი, ა. ნ. ტოლუბეევი, ა. ნ. ბაბაევი, ა. ნ. ტარასოვ

პარტიული ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაცია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმმა მოისმინა და განიხილა ხოფელ ანაგის კოლმეურნეობის პარტბიუროს ანგარიში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

„კომუნისტის“ რედაქციას მიაჩნია, რომ ზოგი რამ, როგორც ამ პლენუმის მოსამზადებელი მუშაობიდან, ისე მისი მსვლელობიდან, საინტერესო იქნება რესპუბლიკის სხვა პარტიული ორგანიზაციებისათვისაც.

დაკარგული ღირსება

ანაგა ოდითგანვე იყო საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი და შეძლებული სოფელი. ფართოაღენინი და ფუძემარნიანი სახლები, ვაზგადაკაბადონებული თალრები და გაშოლტილი ზვრები იქ მცხოვრები ხალხის გამრჯე შრომასა და შეძლებულ ცხოვრებაზე მეტყველებენ.

მაგრამ რაოდენ საკვირველი და სამწუხაროა, რომ ახლა ანაგელებს უკიეინებენ ჩამორჩენაზე. ამ სოფლის კოლმეურნეობის მაჩვენებლები მთელ რიგ დარგებში — მემინდვრეობაში, მეცხოველეობაში, მევენახეობაში რაიონის საშუალო ციფრებზე გაცილებით დაბალია.

რატომ? რაშია საქმე? ბუნებრივად ისმება კითხვა. იმიტომ, რომ წლების მანძილზე აქ შესუსტდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, პარტიული ხელმძღვანელობა. სოფლის მეუნეურებმა არა თუ აამხლეს თავიანთი ჩავარდნები, ნაკლოვანებები, ხარვეზები, არამედ მიჩქმალეს და საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. დაბალმა სამეურნეო შედეგებმა განაპირობა დაბალი შრომის ანაზღაურებაც. ამიტომ მოსახლეობის ერთმა ნაწილმა პირი იბრუნა კოლმეურნეობიდან საწარმო-დაწესებულებებისაკენ, მეორენი — კერძო-მესაკუთრული ტენდენციებით შეპყრობილნი, პირად მეურნეობათა გაფართოებას შეუდგნენ. იმისათვის, რომ მეტი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მიეღოთ, შვილი ეყრებოდა მამას, ცოლი ქმარს... წლების მანძილზე კოლმეურნეობიდან გასული 56 კომლი 7,5 ჰექტარ საკოლმეურნეო მიწას ფლობს. გაუქმებულ შვიდ კომლზე, რომელთაც სულ არა აქვთ სოფელთან კავშირი, სამი ჰექტარი მიწა ირიცხება. მოსახლეობის ერთ ნაწილს პირად საკუთრებაში ჰყავს ნორმით გათვალისწინებულზე მეტი პირუტყვი და იმასაც ინახავენ საკოლმეურნეო ფერმებში, კოლმეურნეობის ხარჯზე. აქ მეტად დაბალია მინდვრის მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა. ყოველივე ამან და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ის, რომ შესუსტდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. დღეისათვის კოლმეურნეობაზე ირიცხება 1.242.449 მანეთი გრძელვადიანი სესხი, საიდანაც 42.000 მანეთი ვადაგადაცილებულია.

ბევრი კრება, თათბირი და სოფლის ყრილობა იყო მოწვეული, რათა კოლმეურნეობას თავი დაეღწია ამ მდგომარეობისათვის. ბევრი ქაღალდი დაიხარჯა ოქმების, დადგენილებების დასაწერად, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა და საქმეს ბევრი არაფერი ეშველა. პარტიის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს, სოფლის მეურნეობის სამმართველოს და მის სპეციალისტებს ავიწყდებოდათ ის, რომ ჩამორჩენილ კაცს მარტო ცემა როდი შველის. საჭიროა მისთვის ხელის გაწვდა, დახმარება.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის ბიუროს, როცა გადაწყვიტა სოფელ ანაგის კოლმეურნეობის პარტბიუროს ანგარიში პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ განეხილა რაიკომის პლენუმზე, ჩამორჩენის დასაძლევად განეხორციელებინა კონკრეტული ღონისძიებანი.

პლენუმის წინ

პლენუმს წინ უძღოდა ფართო სამზადისი, რომლის მიზანი იყო რაიკომის წევრებს, პარტიულ სამეურნეო აქტივს, კომუნისტებს, ყველა კოლმეურნეს წინასწარ სცოდნოდათ კოლმეურნეობაში, სოფელში შექმნილი მდგომარეობა, მისი ავ-კარგი. პარტიის რაიკომის წევრებს, სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, შესაბამის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მესვეურებს მიეცათ დავალება საფუძვლიანად შეესწავლათ სოფელში. კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, სამეურნეო, საღვაკრო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაცვის, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სუფრათა. შეემუშავებინათ შესაბამისი ღონისძიებანი, საქმის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებანი. შემოწმების მასალები წინასწარ გაეცნეს სოფლის პარტიულ და სამეურნეო აქტივს.

რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“ პერიოდულად აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს ანაგის საბჭოსა და სოფლის საბჭოს, კოლმეურნეობის გამგეობის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის, იქ არსებული დარღვევების, დანაშაულის, უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის შესახებ. ეი დაბეჭდილ პუბლიკაციათა სათაურები: „რატომ ჩამორჩენიან ანაგელები?“, „ვალდებულებები აიღეს, საქმე კი“..., „ანაგაში წესრიგი უნდა დამყარდეს!“, „ბოლო მოუღოთ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს!“.

ყოველივე ამან თავისი როლი შეასრულა პარტიის რაიკომის პლენუმის მომზადებასა და მოწყობაში. იმ ამხანაგებს, რომლებსაც უნდა ემსჯელათ პლენუმზე, საშუალება მიეცათ წინასწარ მოეფიქრებინათ საჭირო შენიშვნები, წინადადებანი.

საკითხის მომზადებასა და განხილვაში 70-ზე მეტმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა.

საინტერესო იყო პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზის მოსაცდელში მოწყობილი თვალსაჩინოებანი: ფოტოსტენდები, დიაგრამები, სტატისტიკურ-ილუსტრირებული გაზეთი „ეკალი“. მასზე გამოსახული მეჩხერი ვენახის წარწერა აუწყებდა, რომ „უკანასკნელ ორ წელიწადში ანაგის კოლმეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 790 ტონის ნაცვლად წარმოებულია მხოლოდ 81 ტონა ყურძენი. აქვეა კარიკატურა: ფერმის გამგე ვ. აბზეტელაშვილი ესაუბრება ცხვრებს: — რა ვქნა, რა გიშველოთო. მართლაც, მან ვერაფერი უშველა. სამ წელიწადში დაეცა და იძულებით დაიკლა 3.468 სული ცხვარი, ანუ არსებული სულადობის თითქმის ნახევარი.

კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა მექანიზატორთა აღზრდასა და მომზადებას. კოლმეურნეობას 32 ტრაქტორი აქვს, ტრაქტორისტი კი მხოლოდ 18 ჰყავთ. კარიკატურაზე გამოსახულია, თუ როგორ მართავს სამ ტრაქტორს ერთი ხელეგდაჭდობილი ტრაქტორისტი.

ერთ-ერთი სტენდი გამოსახავს მევენახეობის მაჩვენებლებს. დიდმოცულ ტეხილზე გამოსახულია ციფრები: „1971 წ. — 373 ტონა, 1972 წ. — 57 ტონა, 1973 წ. — 24 ტონა“.

მაგრამ, განა მარტო უარყოფით ფაქტებზე მოგვითხრობდა გამოფენა? „ანაგაშიც არიან მოწინავენი“ — ამ წარწერის ქვეშ მოთავსებულ ფოტოსტენდზე გამოკრულია მეძროხეობის ბრიგადირის მ. თანდაშვილის, კომკავშირელი ტრაქტორისტის ი. ყორღანაშვილის, მწველავ შ. დარჩიაშვილის, მემინდვრეების ვერა. ნინო და ჟუჟუნა მირიანაშვილების პორტრეტები და შრომითი მაჩვენებლები.

დიახ, არიან მოწინავენიც, რომელთაც უნდა მიბაძონ თანასოფელელებმა.

ასე იცის უკონტროლობამ

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმს, რომელმაც მოისმინა სოფელ ანაგის კოლმეურნეობის პარტბიუროს ანგარიში პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ, ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. სოფლის აქტივისტები.

მოხსენებით გამოვიდა ანაგის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი **დ. გოგოლაშვილი,** ხოლო თანამოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ქარუმიძემ.**

მათ წარმოადგინეს კოლმეურნეობაში, საერთოდ სოფელში პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის სრული სურათი. თვითეული მომენტი, ყოველი ფაქტი შეფასებულ იქნა პარტიული პოზიციებიდან. კონკრეტულად ვის რა ევალებოდა, ვინ როგორ მოეკიდა მის შესრულებას, რამ გამოიწვია სერიოზული ჩავარდნები, ნაკლოვანებები, დანაშაულობანი, რა არის საჭირო მდგომარეობის შესაცვლელად. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სწორედ ამიტომ პლენუმმა პრინციპული მსჯელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროში ჩაიარა.

კოლმეურნეობის ჩამორჩენის, პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის შესუსტების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაბალი დონის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაასახელეს ის, რომ პარ-

კომუნისტი მოწოდება შრომაში

რაიკომის კლენუმზე და კლენუმის შემდეგ

შრომის დისციპლინის ამაღლება საზოგადოებრივი სიმდიდრის ის რეზერვია, რომელიც არ მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებებს, მაგრამ შეუძლია მოგვცეს დიდი და სწრაფი მოგება.

ლ. ი. ბრეჟნევი

ტიული ორგანიზაცია, მისი ბიუროს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას. იჩენდნენ საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, ერთბაროვნულად და ზერელედ სწავლობდნენ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, ბოლომდე არ იბრძოდნენ მათ განსახორციელებლად, არ ქმნიდნენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჯანსაღ ატმოსფეროს, არ იჩენდნენ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, საწესდებო მოთხოვნათა მკაცრად დაცვისათვის.

მომხსენებელმა, სოფელ ანაგის კოლმეურნეობის ახალარჩეულმა პარტბიუროს მდივანმა დ. გოგოლაშვილმა თქვა: პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი რგოლია პარტიული კრებები, ბიუროს სხდომები, მათი მომზადება და მოწყობა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს ზერელედ, ზოგჯერ ფორმალურად ეკიდებოდნენ, საკითხების მომზადებაში ერთიანიგვე ამხანაგები — პარტბიუროს მდივანი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მთავარი სპეციალისტები იღებდნენ მონაწილეობას. მარტო პარტბიუროს ყოფილ მდივანს ა. ღირსიაშვილს მომზადებული აქვს 19 საკითხი. ზოგჯერ ბიუროს სხდომასაც ვალის მოხდის მიზნით იწვევდნენ, კრებებს კი არ ესწრებოდა კომუნისტთა საგრძნობი ნაწილი.

როცა პარტბიუროს მდივანი კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას შეეხო, აღნიშნა, რომ არის ერთგვარი ძვრები მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. მაგრამ ისინი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სათქმელადაც არა ღირსო. არა ღირს კიდევ იმის გამო, რომ მათი წარმოება ერთიორად, ერთისამად მეტი უჯდებათ, ვიდრე იგი საწარმოოსაფინანსო გეგმით არის გათვალისწინებული. უყაირათობამ, უნიათობამ, უპასუხისმგებლობამ კოლმეურნეობა მძიმე სამეურნეო და ფინანსურ მდგომარეობამდე მიიყვანა.

პირდაპირ ითქვა პლენუმზე, რომ საქმეს თავი ვერ გაართვეს კოლმეურნეობის პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა ა. ღირსიაშვილმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ბაბალაშვილმა, რისთვისაც შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხი უნდა აგონ მთელი სიმკაცრითო.

მათთან ერთად კომუნისტები, რომლებიც კოლმეურნეობის საწარმოო დარგებსა და ბრიგადებს ხელმძღვანელობდნენ, არ იჩენდნენ საჭირო მომთხოვნელობას, ვერ ახერხებდნენ კოლმეურნეობაში არსებული საშუალებების, რეზერვების გამოყენებას, კოლმეურნეთა ძალების დარაზმვას.

ყოველივე ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა ტიბაანის მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის (ამჟამად წნორის მსხვილფეხა პირუტყვის გასაზრდელ-სასუქებელი კომპლექსის დირექტორის), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ა. დოლმაზაშვილის გამოსვლის შემდეგ. მან მოიყვანა ციფრები, გააკეთა შედარებები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ანაგის კოლმეურნეობაში ჯეროვანად არ იყენებენ ძირითად საწარმოო საშუალებას — მიწას. დაბალია მიწათმოქმედების წარმოების კულტურა. მაგალითად, — თქვა ძან, — თუ ერთი ჰექტარი სახნავი მიწა რაიონში საშუალოდ იძლევა 353 მანეთ ფულად შემოსავალს, ხოლო ტიბაანის კოლმეურნეობაში — 457 მანეთს, სოფელ ანაგის კოლმეურნეობაში იგი მხოლოდ 240 მანეთს შეადგენს. ამის ერთ-ერთ მიზეზად მან დაასახელა მევენახეობის ჩამორჩენა, ამ დარგისადმი უყურადღებობა. ისიც თქვა, რომ ანაგელებს ამ საქმეში მეგობრული თუ მეზობლური დახმარება სჭირდებათ.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი კ. ჭუჭულაშვილი, საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ცაბუტაშვილი, რაიონის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ცაბუტაშვილი, რაიონის პროკურორი ა. ვაიტაძე და სხვები. მათ საზოგადოებრივი მეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნიეს მიწათსარგებლობაში დაშვებული უხეში შეცდომები. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის გამგეობის გვერდის ავლით, ხელი მიჰყო კერძო მეურნეობის განვითარებას და ჰირად სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები ძირითად შემოსავლის წყაროდ გადაქცია. სამწუხაროდ, გახშირდა ყურძნით, ღვინით, ბოსტნეულით და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით სპეკულაცია. უფრო სამწუხაროა ის. რომ მათ შორის არიან კომუნისტები, ხელმძღვანელი პასუხისმგებელი მუშაკები. ო. მჭედლიშვილს უკანონოდ მითვისებული აქვს კოლმეურნეობის 0,24 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ი. ჯიბლაძეს — 0,28. გ. ოღიაშვილს — 0,66 ჰექტარი და ა. შ. გასულ ორ წელიწადში შვიდ კომუნისტს, მათ შორის მ. ჯანიაშვილს, ვ. ოღიაშვილს, ი. ყორღანაშვილს, ა. მირიანაშვილს არ გამოუმშავებიათ კაცდღეების საკალდებულო მინიმუმი. იმის გამო, რომ ისინი არ ასრულებდნენ უმჯობესებს საწესდებო მოთხოვნებს, **პარტიის რაიკომმა მათ სრულიად სამართლიანად აღარ მისცა ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთები, ხოლო პარტბიუროს მდივანს ა. ღირსიაშვილს, რომელიც მუშაობაში ირენდა გულგრილობას, ლოიალობას, ურიგდებოდა ნაკლოვანებებს, დარღვევებს, კომუნისტებმა ნდობა აღარ გამოუცხადეს, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე წინამძღოლად იგი აღარ აირჩიეს.**

ბუნებრივად ისმება კითხვა — რა მაგალითი უნდა გადაეოთ ასეთი კომუნისტებისგან ახალგაზრდებს, კომკავშრელებს? — თქვა ვ. ცაბუტაშვილმა. აი შედეგიც: 183 კომკავშირელიდან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში არ მონაწილეობს ნახევარზე მეტი. კრიტიკის მახვილი ამ საქმეში, — თქვა მან, თვითკრიტიკით, — კომკავშირის რაიკომს და მის მუშაკებსაც უნდა შეგვეხოს.

პლენუმის მონაწილეები ვერ დააკმაყოფილა ანაგის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **გ. ტურიაშვილისა** და კოლმეურნეობის თავმჯდომარის **დ. ბაბალაშვილის** გამოსვლებმა. ისინი შეეცადნენ ემართლებინათ თავი, არსებული ჩამორჩენები და ნაკლოვანებანი მხოლოდ ე. წ. ობიექტური მიზეზებით ეხსნათ. უამინდობა, გვალვა თუ წყალდიდობა, რა თქმა უნდა, გარკვეულ წილად განაპირობებს შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ სოფლის თავკაცებმა თვითკრიტიკით, მთელი პირდაპირობით არ ილაპარაკეს საკუთარ ნაკლოვანებებზე — უუნარობასა და უყაირათობაზე. კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებაზე.

პლენუმზე კომუნისტთა მიერ გამოთქმულ აზრებს, შენიშვნებსა და წინადადებებს თავის გამოსვლაში პრინციპული შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ. მან კოლმეურნეობაში არსებული ჩამორჩენებისა და დარღვევების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კადრების არასწორი შერჩევის, აღზრდისა და განაწილების პრაქტიკა მიიჩნია. — თბილ ადგილებზე მოკალთებული ე. წ. „საქმოსნები“, — თქვა მან, — გადაჰყავდათ ერთი სამუშაოდან მეორეზე. ა. დარჩიაშვილმა, გ. დარჩიაშვილმა და ო. გოგოლაშვილმა ფაქტიურად ჩაშალეს მუშაობა მეძროხეობის. მეცხვარეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, ხოლო ზამეში არავის მიუღია. ხელმძღვანელი მუშაკები. კომუნისტები, რომელთა ოჯახების შრომისუნარიანი წევრები არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში, ცუდ მაგალითს აძლევენ სხვებს (ბრიგადირები ბ. უზუნაშვილი, თ. ოღიაშვილი. ვ. თათრიშვილი, ა. დარჩიაშვილი, ი. მირიანაშვილი, შ. მჭედლიშვილი და სხვები).

კომუნისტები, კომკავშირელები თაოსნობას არ იჩენენ სამუშაოდ წავიდნენ რთულ და ძნელ უბნებზე — მეცხოველეობის ფერმებში. მეძროხეობისა და მეცხვარეობის ფერმებში ძირითადად დაქირავებული ხალხი მუშაობს, რაც მძიმე ტვირთად აწევს კოლმეურნეობას. ამავე დროს ისინი საკოლმეურნეო ფერმებში. კოლმეურნეობის ხარჯზე ინახავენ დიდძალ პირადი საკუთრების პირუტყვს.

კოლმეურნეობის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ გამოეხმაურნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს — მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის და მოვლათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ამ დადგენილებათა შესახებ არ უმსჯელიათ პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ კრებებზე, არ გაუმართავთ სათანადო საუბრები ფერმებში, ბრიგადებში, რათა კოლმეურნეები გასცნობოდნენ შეჯიბრების პირობებს, მის როლს კოლმეურნეობის ეკონომიკის გაძლიერებისათვის. საერთოდ აქ ყურადღება არ ექცევა თვალსაჩინოებას, ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ამიტომაც 1973 წელს კოლმეურნეობის 492 შრომისუნარიანი წევრიდან სავალდებულო კაცდღეები არ გამოუმუშავებია 115-ს, ხოლო შრომაში სულ არ მიუღია მონაწილეობა 23 კაცს.

ასევე სუსტად, მოუქნელად მუშაობენ ანაგის სასოფლო საბჭოსთან და საშუალო სკოლასთან არსებული პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი ვერ რაზმავენ ახალგაზრდობას სოფლის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრისათვის, მშრომელთა კულტურული, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურების, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მომსახურების სფეროს ბევრი ობიექტი შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული.

პლენუმზე მოურიდებლად ითქვა ისიც, რომ ანაგის კოლმეურნეობაში, მის პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობისათვის. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის სიღნაღის რაიკომის ბიუროს, რაიკომის მდივნებსა და სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს, რაისაბჭოს აღმასკომს, სოფლის მეურნეობის სამმართველოს და პირადად მის უფროსს ბ. დაკითაშვილს, მთავარ სპეციალისტებს. რაკოოპერატივის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს. რაისაბჭოს აღმასკომის კულტურისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელ მუშაკებს. რაიონის მთავარ ექიმს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ი. ეცადაშვილი.**

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი სოფელ ანაგის კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის გასაუმჯობესებლად, კომუნისტთა და კომკავშირელთა აქტიურ-გარდული როლის ამაღლებლად, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, სოციალისტური შეჯიბრების უკეთ მოსაწყობად, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

დადგენილება — პრაქტიკულ საქმედ!

ანაგის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავის კრებაზე გულდასმით განიხილა მისი მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმის დადგენილებანი.

გადაადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით მოხსნილ იქნენ და დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ბაბალაშვილი, მთავარი აგრონომი დ. ალბანაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი ა. ღირსიაშვილი, მეცხვარეობის ბრიგადირი შ. სულიკაშვილი, მემინდვრეობის ბრიგადირი ვ. სიმონიშვილი, მებოსტნეობის ბრიგადირი ნ. მერაბიშვილი. მათ და ზოგიერთ სხვა ხელმძღვანელ მუშაკს დაედოთ სათანადო პარტიული სასჯელები. 27 კომლს ჩამოერთვა კოლმეურნეობის ფონდიდან უნებართვოდ მიტაცებული 6 ჰექტარი მიწა. 23 კოლმეურნიდან, რომელთაც შარშან სულ არ მიუღიათ მონაწილეობა კოლმეურნეობის საქმიანობაში, 15 უკეე ჩაება შრომაში. შეიქმნა მებოსტნეობის კომკავშირული ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. მიქელაშვილი), რომელშიც 35 კომკავშირელი და ახალგაზრდა გაერთიანდა. ძმები ნოე და ლევან ნანობაშვილები, ვ. ჯანაშვილი. ნ. დარჩიაშვილი, გ. გოგოლაშვილი და ზ. ალბანაშვილი — სატრაქტორო ბრიგადაში სამუშაოდ წავიდნენ.

გეგმით გათვალისწინებული 20 ჰექტარის ნაცვლად უკვე 25 ჰექტარზე გაშენდა ახალი ვენახი. ექვსი ჰექტარი ახალშენი ვენახი გადაყვანილ იქნა შპალერზე, ხოლო სამეჩხერის მოსპობის მიზნით გადაწვენილი და გადარგულია 2.000 ძირი ვაზი.

შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ნაცვლად 10-ისა მიყიდულია 12 ტონა ხორცი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიეყიდა 3,2 ტონით მეტი რძე.

სოფლის კეთილმოწყობის, ცენტრალური ქუჩის გაფართოების, გამწვანებისა და გალამაზებისათვის დაწყებულია მთელი რიგი სამუშაოები.

სოფელ ანაგაში განხორციელებული ღონისძიებანი ყურადღებიდან არ გამორჩენია საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამძნისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ქ. წნორის მერვე სამმართველოს უფროსს, ახალგაზრდა სპეციალისტს **ე. ბაწელაშვილს.** მან გულისნადები ანაგის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ბარამაშვილს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ბეჟიაშვილს და პარტბიუროს მდივანს დ. გოგოლაშვილს გაანდო. იგი დაესწრო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის იმ კრებას, რომელმაც პარტიის რაიკომის პლენუმის შედეგები განიხილა და სიტყვაც წარმოთქვა:

— ჩვენი სამმართველოს კოლექტივს, რომელიც გაეკეთა სოფელ ანაგის და მისი კოლმეურნეობის მდგომარეობას, სურს დახმარება გაუწიოს მათ. სამმართველოს ძალებით შევაკეთებთ კოლმეურნეობის ორ ტრაქტორსა და ორ კომბაინს; კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასაყენებლად მოვასწორებთ და დავაბეტონებთ 1 ჰექტარ ფართობს; მოვაბირკეთებთ და მოვხრეშავთ ოთხ კილომეტრ სასოფლო და სამინდვრე გზას; საგანგებედ დავაპლანტაჟებთ ოც ჰექტარ ყამირ მიწას.

რ ოგორც ვხედავთ, ანაგელმა კომუნისტებმა პარტიის რაიკომის დახმარებით საქმიანი დასკვნები გააკეთეს. საჭიროა მათი დიდი ორგანიზატორული, რომ იტყვიან, ხელგადაკაპიწებული შრომა, რომ ფართოდ გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას ყეენი აუბან და მტკიცედ მიჰყვნენ იმ კურსს, რომელსაც ახლა ახორციელებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ამ საქმეში წლებით არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოფხვრისათვის.

საქმის წარმატებას დიდად გადაწყვეტს ის, რომ პარტიის სიღნაღის რაიკომმა ყოველთვის იცოდეს როგორ სრულდება მის მიერ მიღებული მეტად დროული და საქმიანი ღონისძიებანი. კარგ გადაწყვეტილებას თან უნდა სდევდეს კარგად მოწყობილი შესრულების შემოწმებაც.

ვლ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამუშაო დღე. რა მოგვცა მან?

ნოვატორი სხდომაზე

ამბავს წინათ მეწვია ნაცნობი კალუგელი კონსტანტინე გრიგოლის-ძე მაკაროვი. იგი ზეინკლად მუშაობს ავტომოტოელექტრომოწყობილობის ქარხნის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საამქრო ლაბორატორიაში.

ამ ლაბორატორიას კი ხელმძღვანელობს ზეინკალი და კონსტრუქტორი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ივანეს-ძე სერგეევი. არ შემშლია — იგი კონსტრუქტორიც არის. ათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ ქარხნის შესასვლელთან გაჩნდა „ელვა“: „საწარმოს ისტორიაში პირველად არის მიღებული გამოგონების საავტორო მოწმობა. იგი მიენიჭა ზეინკალს გ. ი. სერგეევს. გულითა და სულით ვულოცავთ ნოვატორსს!“.

მას შემდეგ გ. სერგეევმა რამდენჯერმე მიიღო საავტორო მოწმობანი ორგანულური, დიდმწარმოებლური ნახევრად ავტომატური და ავტომატური ჩარხების შექმნისათვის. ისინი დადგმულია ქარხნის ყველა საამქროში. მათ მთლიანად გარდაქმნეს ბევრი ოპერაცია, გამოდევნეს ხელის შრომა. დროთა განმავლობაში ნიჭიერი ოსტატის დასახმარებლად შექმნეს ლაბორატორია, სადაც შრომობს მუშათა და სპეციალისტთა ბატარა კოლექტივი. პროექტების რეალიზაცია, ნახაზების დამზადება, ჩარხების აწყობა — ყოველივე ეს ხდება.

ვეკითხები ჩემს სტუმარს: როგორაა საქმე ქარხანაში, ლაბორატორიაში?

— როგორც ყოველთვის, ბევრი ჩანაფიქრი გვაქვს, — მიპასუხა მაკაროვმა. — ვქმნით ორ ჩარხს დიდმნიშვნელოვანი ოპერაციის სრული მექანიზაციისათვის. რიგშია სხვა შრომატევადი პროცესების სრულყოფა.

ერთ წუთს დადუმდა და უცებ შეწუხებულმა თქვა:

— მაგრამ აი უბედურება — გრიგოლ სერგეევს სულ უფრო ნაკლები დრო რჩება თავისი მუშაობისათვის.

— რატომ?

— აი რატომ. იგი დამსახურებული კაცია. მას კარგად იცნობენ კალუგაში, დარაში. ჰოდა, ასე დამკვიდრდა — ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია თითქოსდა უხერხულად გრძნობს თავს, თუ სერგეევი არ აირჩია თავის ხელმძღვანელ ორგანოებში. დროებითსა თუ მუდმივ კომისიებში, თუ არ მიიწვია ამა თუ იმ ღონისძიებაზე, არ დასვა პრეზიდიუმში. რა თქმა უნდა, იგი ასეთი ყურადღების ღირსია. ქარხნის კოლექტივსაც უხარია — აი რა პატივშია ჩვენი გრიგოლ სერგეევიო. მაგრამ განა არა სჯობს ასეთი პატივისცემა საშუაო დროის ხარჯზე არ ხდებოდეს?.

როგორც მიღებულია, დილის რვა საათიანთვის მოდის სერგეევი ლაბორატორიაში. ორიოდე საათის შემდეგ ვაიხედავ და ხელს იბანს. თან მწარედ ოხრავს. ის იყო საუვარელ საქმეში ჩაერთო, და უკვე სხდომაზე ეძახიან. ხან საოლქო პროფსაბჭოს პრეზიდიუმშია, სადაც იგი წევრი და შტატგარეშე მდივანია. ხან მშვიდობის დაცვის საოლქო კომიტეტში, ხან კი კალუგის გამომგონებელთა საბჭოში მიდის, სადაც ავრეთვე არჩეულია...

მაგრამ სერგეევს ხომ სხვა მეტად სერიოზული საზოგადოებრივი მოვალეობანი აქვს — იგი ქარხნის პარტკომის წევრი, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატია, მუშაობს ერთ-ერთ მის კომისიაში. და, მიუხედავად ამისა, მას უხდება კიდევ ხშირად გამოვიდეს ხოლმე სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე. ზოგჯერ კი მთელ დღეს იმორიგეოს... მმაჩის ბიუროში, — მიუღოცოს ახალდაჭორწინებულებს.

ყოველივე ეს, ალბათ, საჭიროა, ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როგორ გავაკეთოთ ისე, რომ ქარხნის სამუშაოს არ მოსცდეს, რომ ნაკლები სხდომები და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებანი ეწყობოდეს სამუშაო დროს, უფრო იშვიათად მოწყვეტინონ ადამიანები წარმოებას?

...მაგრამ აი რა მითხრა ცოტა ხნის შემდეგ თვითონ გრიგოლ სერგეევმა.

**— სამწუხაროდ, ეს სწორიაა: სულ უფრო მეტად მიხდება საზოგადოებრივი დავალებების შესრულება სამუშაო დროს. ზოგ

მსოფლიო დღეს

ამბები ფაქტები

საკლესიო და უცხოეთის პრესის საინფორმაციო

რ. ნიქსონის წერილი

ბონი, (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა წერილი გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ვ. ბრანდტს, რომლითაც აცყობინებს, რომ გაუქმდა გეგმები ბრიუსელში მისი ჩასვლის შესახებ. ამ ვიზიტის დროს, რომელიც გათვალისწინებული იყო აპრილში და ემოხვევოდა ნატოს 25 წლისთავს, უნდა გამართულიყო ნატოსა და „საერთო ბაზრის" წევრი ქვეყნების მთავრობათა შეთაურების სხდომა და საზეიმო ვითარებაში ხელი უნდა მოწერათ, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და „საერთო ბაზრის" ურთიერთობის საფუძვლების დეკლარაციისათვის.

ნიქსონის წერილში ნათქვამია, რომ მუშაობა დეკლარაციის პროექტის შედგენისათვის ჯერჯერობით არ არის იმ სტადიაში, როცა შესაძლებელია ამ დოკუმენტის ხელმოწერის თარიღის დადგენა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ. ბრანდტმა დაუყოვნებლივ გააცნო რ. ნიქსონის წერილი „საერთო ბაზრის" წევრი სხვა ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელებს (ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავმჯდომარეობს ევროპის ეკონომიური საერთიანების მინისტრების საბჭოს).

ადგილობრივ პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, ნიქსონის წერილი ბრანდტისადმი მოწმობს, რომ კიდევ უფრო გაწყვეტდა ურთიერთობა ამერიკის „შეერთებულ შტატებსა და მის დასავლეთევროპელ პარტნიორებს შორის.

დიდი კოკულარობა

პრაღა, 18 მარტი. (საკადესი). მომავალ სოციალისტური ქვეყნების ტელეპროგრამები, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა იღებს „ინტერვიზიის" სისტემით, დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩეხოსლოვაკიელ მაყურებელთა შორის. შარშან რესპუბლიკის ტელევიზიამ უჩვენა 460 ასეთი გადაცემა, მათ შორის 170 სსრ კავშირიდან.

თავის მხრივ, ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიამ შარშან „ინტერვიზიით" მომავალ ქვეყნებში გადასცა 200-ზე მეტი პროგრამა.

ქვილ პოზიციებზე

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საკადესი). ისრაელს განზრახული აქვს კვლავაც უგულებელყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ ისრაელის ჯარების გაყვანას მთელი ოკუპირებული არაბული მიწებიდან. ამას მოწმობს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ებანის გამოსვლა ამერიკის ტელევიზიით. როგორც ებანმა განაცხადა, ტელ-ავივი „ვერ დათანხმდება, რომ სირიამ კვლავ დაიკავოს „ისრაელთა ჯარების მიერ მიტაცებული" გოლანის მაღლობები".

ტელ-ავივის წარმომადგენელს არც ის დაუმალავს, რომ ისრაელი არ აპირებს ჯარების გაყვანას იერუსალიმის ოკუპირებული ნაწილიდან და არ ცნობს პალესტინელი არაბების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის კანონიერ უფლებებს.

ლენინური იდეების ზეიმი

გამოსამაურება

საერთაშორისო საზოგადოებრივობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია და უცხოეთის პრესის უურადღებას ცენტრში დგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში. გაზეთები და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი დაწვრილებით ბეჭდავენ სიტყვის შინაარსს და განმარტავენ მის ძირითად დებულებებს, ამასთანავე ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური მიღწევები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშშვიდობო საგარეო პოლიტიკის წარმატებანი, რაზეც ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა. დამაჯერებლად მოწმობენ ლენინური იდეების გამარჯვების, სოციალიზმის და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების სიცოცხლისუნარიანობას.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიად გმირობას", „საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის მატიანის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ფურცელს" უწოდებენ სსრ კავშირში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას სოციალისტური ქვეყნების გაზეთები.

1954 წელს დაწყებული 42 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწის ათვისების გრანდიოზული გეგმის განხორციელებამ არა მარტო საშუალება მისცა სსრ კავშირს შეექმნა აღმოსავლეთ ნაწილში ახალი დიდი მარცვლეულის ბაზა, არამედ ძირფესვიანად შეეცვალა აგრეთვე გრაცელი ოლქების ეკონომიკა, კულტურა, მთელი მათი იერი, წერს პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ", და იმოწმებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოყვანილ ფაქტებს. ამასთან იგი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრული და მიზანმიმართული პოლიტიკა გარდაქმნის საბჭოთა სოფლის მეურნეობას და აუმჯობესებს მშრომელთა კეთილდღეობას.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წერს, რომ ყამირის ათვისებამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობას შეუქმნა ახალი ძლიერი ბაზა და დაიჩქარა მიწათმოქმედების საერთო განვითარება ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირში ყამირი და ნასვენი მიწების თვისების დაწყებიდან განვლილი ოცი წლის მანძილზე შესანიშნავი შედეგებია მიღწეული. ყამირი მიწების გამოყენებამ ხელი შეუწყო სსრ კავშირის სამეურნეო მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას და მომავალში მათი როლი, უდავოდ, კიდევ უფრო გაძლიერდება, წერს იტალიური გაზეთი „ორიერე დელა სერა".

დასავლეთელი დიპლომატები, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას, „ნიუ-იორკ ტაიმსის" სიტყვით, განცვიფრებული იყვნენ რუსეთის სფსრ არაშავმიწანადგაგანი ზონის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების მასშტაბით. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, წერს გაზეთი, გვიჩვენა, რომ საბჭოთა სოფლის მეურნეობა კვლავაც მიიღებს კაპიტალური დაბანდების ძალიან დიდ წილს.

ლ. ი. ბრეჟნევმა „1974 წლის მოსავლისათვის ბრძოლის დაწყების ნიშნი მისცაო", წერს ამასთან დაკავშირებით დასავლეთგერმანული „დი ველტი".

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილს დაწვრილებით აშუქებენ ბერლინის „ნოიეს დოიჩლანდი", მონგოლური „უნენი" და პრესის ბევრი სხვა ორგანო, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ახლანდელი შემობრუნება „ცივი ომიდან" საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკის, სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის თანამიმდევრული ბრძოლის უეჭველი წარმატებაა.

ალმა-ათაში გამოსვლისას, აღნიშნულია დასავლეთგერმანული გაზეთის „შტუტგარტერ ციტუნგის" კომენტარებში, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ეს კეთილნებყოფილი ცვლილებანი საერთაშორისო ასპარეზზე მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების წამყვან პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ გამოჩენილი გარკვეული რეალიზმის შედეგიც არის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს სიტყვები მოჰყავთ ავრეთვე ამერიკის ასოციეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოს, იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტოს, ბეკონ გაზეთს.

ინდოეთის „ნეშნლ ჰერალდი" აღნიშნავს, რომ როგორც თავის გამოსვლაში გაუსვა ხაზი ლ. ი. ბრეჟნევმა, საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულ ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას ადგას სოციალიზმის ქვეყნების მოძმე პარტიებთან და ხალხებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. ეს ერთხელ კიდევ დიდი ძალით ცხადყო ლ. ი. ბრეჟნევის ამსწინანდელმა ვიზიტმა კუბაში, წერს გაზეთი.

საფრანგეთის პრესა და საინფორმაციო სააგენტოები, ბუნებრივია, განსაკუთრებულ უურადღებას უთმობენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც მაღალი შეფასება ეძლევა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკებებს, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ბიჭვინთაში, ფრანს პრესის სააგენტო ხაზს უსვამს, კერძოდ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ორი ქვეყნის პოზიციათა სიახლოვე ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომაში და ზოგიერთ სხვა დიდ პრობლემაზე.

ეს შეხედრა, რომლისთვისაც დაძახასათებელი იყო რეალიზმის სულისკვეთება საერთაშორისო ვითარების შეფასებაში, თანამშრომლობისადმი გულწრფელი მისწრაფება, დამაჯერებელი მისაბაძი მაგალითი გახდა, აღნიშნავს ბულგარული გაზეთი „ნაროდნა არმია", თანაც ხაზს „უსვამს, რომ ბიჭვინთის საუბრების შედეგად გამოვლინდა, კერძოდ, სსრ კავშირისა და საფრანგეთის შეხედულებათა შემდგომი დაახლოება იმ საკითხში, რომ საჭიროა უსწრაფესად დამთავრდეს თათბირი ევროპის უშიშროების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დიალოგი, წერს ბულგარული გაზეთი „ნაროდნა მლადეჟი", ღირსეულად შეაფასეს მთელმა მსოფლიო პრესამ, ყველამ, ვინც ებრძვის მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის. განვლილი მოლაპარაკების კეთილნებყოფილი გაკვლევა და ორი ქვეყნის მეცადინეობა მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისათვის, უეჭველია, თავს იჩენს უახლეს ხანში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს მეხუთე შეხვედრამ, წერს ჩეხოსლოვაკიის „პრავდა", „ახალი იმპეტი მისცა საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირისა და საფრანგეთის არა მარტო ეკონომიური, მეცნიერული, ტექნიკური და კულტურული, არამედ აგრეთვე ყოველმხრივი პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებასაც.

იტალიური „უნიტა" ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის ის სიტყვებს, რომ საუბრებმა საფრანგეთის რესპუბლიკის მეთაურთან უთუოდ შეუწყო ხელი ორივე მხარეს კიდევ უფრო დაეახლოვებინათ პოზიციები მთელ რიგ დიდნაწილეულად საკითხებში და ამით გაეუმჯობესებინათ საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთმოქმედების წარმატებისა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა, აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით აგრეთვე კვირაოსის გაზეთი „ხარავგი", სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის კარგი მაგალითია, რადგან იგი შეესაბამება როგორც ორივე ამ ქვეყნის ინტერესებს, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებსაც.

(საკდესი).

ინგლისი

ქვეყნის საზოგადოებრიობა აქტიურად უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ვიეტნამის საკითხზე პარიზის შეთანხმების მთლიანად შესრულებისათვის. პროგრესული ორგანიზაციების მოწოდების პასუხად ლონდონის ცენტრში რეგულარულად ეწყობა პიკეტები, მშრომელები პროტესტს აცხადებენ საიგონის ხელისუფალთა თვითნებობის გამო და მოითხოვენ ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ზურათზე: მშრომელთა ერთ-ერთი პიკეტი ლონდონში.

რეპრესიები, ტერორი

ბუენოს-აირესი, 18 მარტი. (საკდესი). კვლავ პოლიტიკური პატიმრებით იავსება მონტევიდეოს „ხილინდროს" სტადიონი, რომელიც პრეზიდენტ ბორდაბერის ხამხედრო-სამოქალაქო რეჟიმმა გიგანტურ იმპროვიზირებულ საპყრობილედ გადააქცია. მათ შორის ბევრია იმ მომენტში დაპატიმრებული მრავალი ახალგაზრდა, როცა შენობათა კედლებზე წერდნენ ლოზუნგებს, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ ერთიანობისაკენ, დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენისა და კანონგარეშე გამოცხადებული ურუგვაის კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა ეროვნული კონვენტის საქმიანობის განახლებისათვის საბრძოლველად.

ურუგვაის დედაქალაქიდან მოსულ ცნობებში აღნიშნულია, რომ პოლიცია პირდაპირ სადირობს მუშათა ხელმძღვანელებზე. საპატიმროში ჩასვეს ბევრი პროფკავშირული მოღვაწე. მათ შორისაა სონია გუარნიერი, ურუგვაელ ექიმთა პროფკავშირის აქტივისტი, რიკარდო ვილარო, საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა პროფკავშირის ხელმძღვანელი, ექტორ როდრიგესი, საფეიჭოო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბევრი დაპატიმრებულის ჯანმრთელობა შეიერყა მას შემდეგ, რაც ისინი მხეცურად აწამეს.

ყოველკვირეული „მარჩის"—ოპოზიციის ერთადერთი ბეჭდვითი ორგანოს დახურვის შემდეგ „სილინდროს" სტადიონზე იმყოფება მისი მთავარი რედაქტორი უგო ალკარო. მასთან ერთად დაპატიმრებული გაზეთების სხვა თანამშრომლები, რომელთა ჯანმრთელობა ძლიერ შეირყა წამების გამო, ხელისუფლებამ, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

კორუფცია ძლიერდება

ლონდონი, 18 მარტი. (საკდესის კორ.). ქალაქ ლიდსში დამთავრდა ინგლისელ ბიზნესმენთა, მაღალი თანამდებობის მოხელეთა და პოლიტიკანთა გასამართლება, რომელთაც ბრალად ედებათ მექრთამეობა და კორუფცია. პროცესის „მთავარ გმირს" ინგლისის საშინაგანო ფირმის 63 წლის მთავარს ჯონ პოლსონს, რომელსაც განყოფილებანი აქვს საზღვარგარეთაც, მიუსაჯეს შვიდი წლის პატიმრობა. მაგრამ გამოძიების დროს გამოვლინდა, რომ ამ საქმეში გადაიდინა როგორც პარლამენტის წევრები და მთავრობის დეპარტამენტთა მოხელეები, ისე ბიზნესმენები, პროფკავშირული მოღვაწეები, სხვადასხვა სამეურნეო საბჭოსა და ქალაქების მუნიციპალიტეტთა წევრები. ყველა ისინი ჰოლსონისაგან იღებდნენ ქრთამს მისთვის ხელსაყრელი შეკვეთებისა და კონტრაქტებისათვის მაღლობის ნიშნად.

ეს სკანდალი, როგორც აღიარებს კაპიტალიზმის თვით ისეთი ქადაგი, როგორიცაა „დეილი ტელეგრაფი", მხოლოდ უმცირესი ნაწილია კორუფციის უზარმაზარი აისბერგისა, რადგან აქ არც ერთი საბინაო თუ ადმინისტრაციული მშენებლობა, არც ერთი რეკონსტრუქცია, არც ერთი სერიოზული საინჟინრო ნაგებობა გვერდს ვერ აუვლის „საპირო და ბავლენიანი" ადამიანების მოსყიდვას.

სად რამდენი მოსახლეოგაა

ტოკიო. გასული წლის ოქტომბერში იაპონიის მოსახლეობა შეადგენდა 108.710.000 კაცს. მოსახლეობის სიმჭიდროვე იმ პერიოდში იყო 292 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. ხხოლოდ სამ ქვეყანას აქვს უფრო მეტი მოსახლეობის სიმჭიდროვე, ვიდრე იაპონიას. ესენია: სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი და ბელგია.

თეირანი, 18 მარტი. (საკდესი). გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ამჟამად ირანში ცხოვრობს 31.845.452 კაცი. ირანის დედაქალაქში სამ მილიონ-ნახევარზე მეტი მცხოვრებია.

სსრ კავშირი—ბულგარეთი

„სოფია პრესის" საკავშირო

ტურიზმი-74: მეგობრობის გზები

ვურისტული კავშირი ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სულ უფრო ფართოდება და მრავალმხრივი ხდება. ტურისტთა გაცვლა მნიშვნელოვნად გაფართოვდება 1974 წელსაც.

გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს ორგანიზებული ჯგუფური ტურიზმი. ხელახლა დასავლებასთან ერთად განვითარდება სამარშრუტო-შემეცნებითი, სანიტარულ-საკურორტო, სპეციალიზებული, პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებული, ახალგაზრდული ტურიზმი. მოეწყობა ტურისტების გაცვლა ცალკეულ ოლქებს, რაიონებს, დამამობილებელ ქალაქებს შორის, ექსკურსიები ეროვნული კულტურის დღესასწაულთან და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით. ტურიზმის მომავალ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბულგარელ ტურისტთა მარშრუტებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სხვადასხვა დარგში ადგილების შესწავლასთან.

ორგანიზებულ ტურიზმთან ერთად სულ უფრო მეტად იქმნება ამ ორ ქვეყანას შორის ინდივიდუალური ტურიზმისა და, უწინარეს ყოვლისა, ავტოტურიზმის შემდგომი გაფართოების პირობები. შემოუშვებულია ინდივიდუალურ ტურისტთა მომსახურების სისტემის სრულყოფის გეგმა. თანდათანობით გაფართოვდება საავტომობილო ტრანსპორტის ქსელი. გათვალისწინებულია რეგიონალური და სეზონური საავტომობილო ხაზების შექმნა ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკას შორის.

ორივე ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ყველა სახის სწრაფი და ეფექტური თანამშედრომელ ტრანსპორტის შექმნისათვის. გათვალისწინებულია გაიხსნას დამატებითი ავიაგზები მოსკოვი-სოფია, ლენინგრადი — სოფია, კიევი-სოფია, რიგიონალური ავიაგზებით საბჭოთა კავშირის მსხვილი ქალაქები და ოლქები დაუკავშირდებიან ვარნას, ბურგასს და პლოვდივს.

გაიზრდება სპეციალური ტურისტული და ახალგაზრდული მატარებლების, მეგობრობის მატარებლების რიცხვი და ა. შ.

ორივე ქვეყნის ტურიზმის ორგანოები და სხვა უწყებები ამუშავებენ წინადადებებს ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი მანქანების, მოწყობილობის, საქონლის და სხვათა წარმოების დარგში კოოპერირებისა და ინტეგრაციის შესახებ. ისინი განიხილავენ ბულგარეთის შავიზღვისპირეთში, ბალნეოლოგიურ და მაღალმთიან ეროვრტებზე იმ ტურისტული ბაზების ერთობლივი მშენებლობის შესაძლებლობებს, რომლებსაც გამოიყენებენ საბჭოთა ტურისტები.

განსაზღვრულად იზრდება ახალგაზრდული ტურიზმი ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ტურისტული ორგანიზაციების „ორბიტისა" და „სპუტნიკის" ხაზით 1973 წელს ამოგზაურა 22.000 ჰაბო�ა და ქალიშვილმა. მომავალ წლებში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. მათ განკარგულებაშია პრიმორსკის (ბულგარეთის შავიზღვისპირეთის სამხრეთ ნაწილში) გ. დიმიტროვის სახელობის საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი. ბულგარეთის ტურისტულ რეკლამაზე განსდება ახალი მარშრუტები, გაიზრდება სპეციალური ახალგაზრდული მატარებლების რაოდენობა. გაგრძელდება სტუდენტთა და საშუალო სკოლების მასწავლებელთა, მუშათა და სპეციალისტთა, კოოპერატიული მეურნეობის წევრთა ჯგუფების გაცვლა.

„სოფია პრესის" საკავშირო

ᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲩᲘᲚᲔᲡ

მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებით გმობს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჩილეს სამხედრო ხუნტას, მელიც ქვეყანაში [illegible] რევში აბრუნებს, [illegible] მებს დემოკრატიულ [illegible] ათასობით [illegible] ლელ პატრიოტს. ჩილელ ხალხთან სოლიდარობას ეძღვნება პოლიტიკური პლაკატის გამოფენა-კონკურსი, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში გაიმართება.

გამოფენისათვის ქართველმა მხატვარმა ნ. მალაზონიამ შექმნა პლაკატი „უსმინეთ ჩილეს", რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ.

საკადესის კომენტარი

1. კვიპროსი: რეაქციის საშიში გეგმები

クვიპროსზე—ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში მდებარე პატარა კუნძულზე—ხანგოლდ მიწუშების შემდეგ კვლავ გააქტიურდა რეაქცია, ხოლო ეროვნულ კორიზონტზე შავი ღრუბლები გაკიოლდა.

შეგახსენებთ, რომ თვენახევრის წინათ არალეგალური დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელის, მოხუცი გენერლის გრივასის სიკვდილის შემდეგ მისი მომხრეების ნაწილმა განაცხადა, რომ აპირებენ შეწყვიტონ მთავრობის საწინააღმდეგო ძირგამომთხრელი საქმიანობა, რის შემდეგ პრეზიდენტმა მაკარიოსმა გრივასის „ეოკა-ბ" ორგანიზაციის ყველა წევრს ამნისტია გამოუცხადა და მოუწოდა ჩაებარებინათ იარაღი.

მაგრამ მოვლენათა ასეთი შემობრუნება აშკარად ხელს არ აძლევდა იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც დიდი ხანია მიზნად ისახავენ გადააქცინონ კვიპროსი თავიანთ პლაცდარმად, რომელიც მიმართულ იქნება ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ. ამ გეგმების განხორციელებას წინ ეღობება მაკარიოსის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას.

სწორედ ამიტომ საგარეო და ხაშინაო რეაქციამ ხელი არ აიღო ცდაზე, გამოიწვიოს ქვეყანაში არეულობა და შექმნას პირობები ახლანდელი მთავრობის დასამხობად. ამას წინათ „ეოკა-ბ" ორგანიზაციის სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ბერძენი ოფიცერი, რომელიც, როგორც კვიპროსის გაზეთი „ხარაგვი" წერს, ათენის ხელმძღვანელი წრეების სრული ნდობით სარგებლობს. ეს ორგანიზაცია, რომელსაც ახალი ლიდერი ხელმძღვანელობს, წერს გაზეთი, მიზნად ისახავს გადაკავეწოს მაკარიოსი და დაამყაროს სამხედრო დიქტატურა.

აუსრბითად ამავე მიზნებს ისახავენ რეაქციის ცდებიც — ჩაფუშონ კვიპროსის საშინაო საკითხების გამო კუნძულზე მცხოვრები ბერძნული და თურქული თემების წარმომადგენელთა მოლაპარაკება, რომელიც უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. რეაქციულ ძალებს, რომლებიც ეროვნულ შუღლს აღვივებენ ამ თემებს შორის, იმედი აქვთ, რომ კვლავ მოწამლავენ მოლაპარაკების ატმოსფეროს, გაამწვავებენ ვითარებას და საგარეო ძალებს მისცემენ საბაბს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

ამასთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლიით ბოლო დროს უცხოეთის პრესაში წამოყენებულ კვიპროსის პრობლემის „გადაწყვეტის" იდეებს ფედერაციის შექმნის ან კუნძულის გაყოფის გზით. წერენ რა ასეთი იდეების შესახებ, გაზეთები გაინიხილავენ კვიპროსის საკითხის შესახებ ათენსა და ანკარას შორის ამჟამად მიმდინარე კონსულტაციებს.

კვიპროსის მთავრობა და ფართო საზოგადოებრიობა გადაჭრით უარყოფს ასეთ გეგმებს. ამასთან ხაზს უსვამს, რომ კვიპროსელი ხალხის ზურგს უკან კვიპროსის პრობლემის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება მის ინტერესებს და შეესაბამება მხოლოდ იმპერიალისტური წრეებისა და ნატოს ინტერესებს.

2. აურზაური ლისაბონში

ბორტუგალიაში საბრძოლოდ ემზადებიან გამზადებული ჯარის ნაწილები. აპორეორტებს, რკინიგზის მაგზლებს, უმნიშვნელოვანეს ობიექტებს ქალაქებში მთელი დღე-დამის მანძილზე პატრულებენ სალაზარის საიდუმლო პოლიციელ და აგენტები.

ეს ღონისძიებანი გამოიწვიეს უთანხმოებებმა პორტუგალიის მმართველ ზედა ფენაში, უწინარეს ყოვლისა სამხედრო სარდლობაში.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ თებერვლის დამლევს ლისაბონის წიგნის მაღაზიების თაროებზე გაჩნდა ლამაზად გაფორმებული წიგნი „პორტუგალია და მომავალი". იგი დაწერა 63 წლის გენერალმა ანტონიუ სპინოლამ, რომელსაც მაშინ ეკავა პორტუგალიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის პოსტი. ოთხი წლის მანძილზე იგი იყო გვინეა-ბისაუს გუბერნატორი და მთავარსარდალი. მისი ბრძანებით ლისაბონელმა დამსჯელებმა გადაწვეს გვინეის ასობით სოფელი, სიკვდილით დასაჯეს და დახვრიტეს ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები.

და აი სწორედ ამ კაცმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაბშობის თავგამოდებული მომხრე იყო და რომელიც მოითხოვდა, რომ შიშსა და მორჩილებაში ჰყოლოდათ აფრიკის მოსახლეობა, აშკარად აღიარა, რომ „პორტუგალია ვერ მოიპოვებს გამარჯვებას მხოლოდ სამხედრო საშუალებების გამოყენებით". თუ ისეთმა მძლავრმა ქვეყანამ, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, წერს სპინოლა, ვერ მიაღწია გამარჯვებას სამხედრო საშუალებებით ვიეტნამში, „პორტუგალიას არა აქვს სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ დათანხმდეს ზღვისპირი ტერიტორიების შესახებ საკითხზე კომპრომისულ პოლიტიკურ მოწესრიგებას". წინააღმდეგ შემთხვევაში, ასკვნის, გენერალი „პორტუგალია დაკარგავს აფრიკულ პროვინციებს".

გენერლის აღიარებამ ნამდვილი აურზაური გამოიწვია უკიდურესი შემარჯვენე გენერლების წრეებში, რომლებიც დაჯგუფებული არიან სალიმწიფოს მეთაურის ადმირალ ამერიკუ ტომაშის გარშემო, დიდ ფინანსურ მაგნატებსა და არეაქციულ პოლიტიკურ მოღვაწეებში. მათ სპინოლას წიგნი მიიჩნიეს კრამოლად, რომელიც ძირს უთხრის სალაზარის წესწყობილების სიმტკიცეს. და მაშინ პრემიერ-მინისტრმა კეტანუმ გადაყარა გენერალი სპინოლა, მასთან ერთად მისი შეფი გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ანშტა ჯომეშო. მას შემდეგ, რაც პორტუგალიის არმიის ზოგიერთ ქვეგანაყოფში დაიწყო მღელვარება, მთავრობამ საავანგარდო თათბირზე შეიარაღებული ძალების სარდლობასთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება ჯარების საბრძოლოდ გამზადების შესახებ.

პორტუგალიის მმართველ წრეებში წარმოშობილი მწვავე კრიზისი მოწმობს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ უსუსურია ლისაბონის ახლანდელი რეჟიმის პოლიტიკა, რომელიც ცდილობს დრაკონული მეთოდებით შეინარჩუნოს დაშლის გზაზე დამდგარი თავისი კოლონიური იმპერია.

ეს საინტერესოა

საოცარი მაიმუნები

ტოკიო, (საკდესი). იაპონიისა და ხაზღვარგარეთის მრავალი მეცნიერის უურადღება მიიპყრო იაპონიის პატარა კუნძულმა საივაიძიმამ, სადაც ცხოვრობს საოცარი ტრადიციების მქონე მაიმუნების კოლონია. ეს, ალბათ, ყველაზე მშვიდობიანი მაიმუნებია მსოფლიოში. ისინი ერთმანეთს მეტად მშვიდობიანად, „დელიკატურად" და ყურადღებით ეპყრობიან. ჩვეულებრივად მაიმუნების ბელადი ხდება ყველაზე ძლიერი მამალი მაიმუნი გაფფორებული ბრძოლების შემდეგ. კუნიულ საივაიძიმაზე კი არსებობს ურთიერთობის თავისი კოდექსი. და მოხუცები „პატივისცემით" გადიან „პენსიაზე". მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი ჯგუფის ბელადი მოხუცდა, დაუძლურდა და ავად გახდა, მისმა მემკვიდრემ დაიწყო მასზე სათუთად ზრუნვა.

პირველად მაიმუნების ყოფაქცევაში ეს თავისებურება შენიშნა იაპონიის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ხ. მიტომ, რომელიც უკვე 27 წელია აკვირდება კუნძულ საივაიძიმაზე მაიმუნთა კოლონიის ცხოვრებას. იაპონელმა მეცნიერებმა ხ. მიტოს გამოკვლევები შეფასეს როგორც მნიშვნელოვანი წვლილი მეცნიერების განვითარებაში და მას ხალიალური პრემია მიანიჭეს.

ᲣᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თავისუფლება ლუის კორვალანს!

შენი სამშობლო,
ლუის კორვალან,
ფენიქსის მსგავსად
აღსდგება ისევ.
ვინც მისი ზეცა
გააყომრალა,
მალე მოიტეხს
მოსატეხ კისერს...
შენი სამშობლო,
ლუის კორვალან,
კვლავაც მოუხმობს
შეკარდნებს გუნდად,
რომ არ გაუშვას
დაუკოდავად
შენი დუმმანი —
გულშავი ხუნტა!..
კმარა, რაც მტერმა
გტანჯა, მოგლალა,
გადასამეტსაც
გადაამეტა...
— თავისუფლება
ლუის კორვალანს!—
ასე გუგუნებს
მთელი პლანეტა...

ᲪᲜᲝᲑᲐ

კუნძული დოსონი

ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი დ. ბეერი სხვა პოლიტიკური მოღვაწე ჩილეს რეაქციულმა მთავრობამ გადასახლა ქვეყნის უკიდურეს სამხრეთში, თითქმის უდაბურ და უკაცრიელ კუნძულ დოსონზე.

კუნძული დოსონი მდებარეობს ცეცხლოვანი მიწისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტს შორის, მაგელანის სრუტეში. კუნძული ცეცხლოვანი მიწისაგან გამოიყოფა უიტსაიდის სრუტით. ამ სრუტის ხანაპირზე მდებარეობს კუნძულის ერთადერთი დასახლებული პუნქტი მისიონი. მაგრამ მიიონის მოსახლეობა შუდმივად როდი ცხოვრობს იქ. ზამთრის პერიოდში ამ დასახლებულ პუნქტში თითქმის აღარავინ არ რჩება.

კუნძულის მაქსიმალური სი

ᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲡ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲐᲠᲗᲐᲙᲘᲐᲓᲐᲛᲓᲔ...

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ—ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲝᲑᲐ

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲚᲐᲕᲐ და ბაკურიანში ფინიში ჰქონდა ერანდიოზულ სპორტულ ასპარეზობას — სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადას. ათ დღეს მიმდინარეობდა აქ სამთო მოთხილამურეობა, მოციგურაობა, ფიგურისტობა, „მფრინავ მოთხილამურეთა“, მოციგაობა, ორეშიდელთა, ბიატლონისტთა და მრბოლთა დიდი ფორუმი, რომელმაც საერთო აღიარება ჰპოვა არა მარტო თავის სპორტული მაჩვენებლებით, არამედ მასობრივობით, პერსპექტიული ახალგაზრდობით.

მთელ სპარტაკიადას წმინელ ზოლად გასდევდა მოსკოვის ძლიერი კოლექტივის გარკვეული უპირატესობა, რომელიც ქულებით აისახა. აქ ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ადრინდელ ორ სპარტაკიადაში ორივეჯერ ჩემპიონის ტიტული სწორედ მოსკოველებს ჰქონდათ და ბევრს არც ახლა ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ დედაქალაქის სპორტსმენები არც ამჯერად დათმობდნენ პოზიციებს. მაგალითად, 16 მარტისათვის მოსკოველებს თავიანთი აქტივში ჰქონდათ 1.632 ქულა, ლენინგრადელებს —1.542 ქულა. და აი ფინიშთან ლენინგრადელთა უჩვეულო სწრაფვამ, ლიდერისათვის ხელიდან გამოეტაცებათ ინიციატივა, მიზანს მიაღწია.

დიახ, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ლენინგრადის სპორტსმენთა, ფაქტიურად ახალგაზრდული, ძლიერი კოლექტივი, რომელმაც 2.176 ქულა შეაგროვა. ლენინის ქალაქის სპორტსმენებმა სპარტაკიადის პროგრამიდან გათვალისწინებულ 8 სახეობიდან პირველი ადგილი დაიკავეს ჩაროსნულ და ფიგურულ ციგურაობაში, ამასთანავე ოთხ სახეობაში მეორენი იყვნენ.

მოსკოვის გუნდი იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. დედაქალაქის სპორტსმენებმა 2.129,5 ქულა შეაგროვეს. მესამე სპარზო ადგილი დაიკავა სვერდლოვსკის ოლქის ნაკრებმა, რომლის აქტივში 1.211 ქულა.

ბაკურიანისა და სვერდლოვსკის ასპარეზობები, ადრინდელი სპარტაკიადებისაგან გამოირჩეოდა თავისი გეოგრაფიით, მასობრივობით. როგორც სსრ კავშირის მინსკრტთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა, პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა — სპარტაკიადამ ძლიერი ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყანაში სათხილამურო და საციგაურაო სპორტის შემდგომ აღმავლობას. სპორტსმენთა ამ დიდმა ფორუმმა კიდევ უფრო პოპულარული გახადა ჩვენში ფიგურული ციგურაობა, თხილამურებით ტრამპლინებიდან ხტომა. სამთო-სათხილამურო სპორტი, სპარტაკიადის მთავარი რეკორდი იყო მიხი მასობრივობა. აღსანიშნავია, რომ სპარტაკიადის სტარტზე გამოვიდა 20 მილიონამდე სპორტსმენი, აქედან 7 მილიონამდე ქალმა შეასრულა მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის ნორმატივი. მართალია, სპარტაკიადას ფინეთი ჩამოერჩენთ. ასეთთა შორის. შეგვიძლია დავასახელოთ ორჭიდი, რბოლები, უ ფ რ ო მეტს მოველოდით სამთო მოთხილამურეებისაგან. რაც შეეხება ჩქაროსნულ ციგურაობას, ბიატლონს, ისინი ხომ დავიწყებას არიან მიცემული. მაგრამ არც წარმატებანი ლენდა გამოგვიჩენს მეიდველობიდან. ეს ითქმის ტრამპლინებიდან ხტომაზე. მაგალითად, 70 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მ. ვავა ჩემპიონობა და მესამე მეექვსე ადგილი 90 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ეს უთუოდ დიდი გამარჯვებაა. არც ორადგილიანი ციგებით ასპარეზობაში მოპოვებული მესამე ადგილი უნდა დავიიწყოთ და ბოლოს ჩვენი ნორჩი ფიგურისტების მიერ მოცემული ქულებიც დიდად გვახარებს და მომავლის იმედს გვაძლევს.

სასიხარულოა, რომ არა მარტო ჩვენს გუნდში, არამედ პირველობისათვის მებრძოლ ყველა კოლექტივში განსაკუთრებით იგრძნობოდა ახალგაზრდობის სიჭარბე. ამიტომაც შემთხვევითი როდი იყო, რომ სპორტსმენები, რომლებიც ჭაბუკებისა და გოგონების ჯგუფში გამოდიოდნენ, ბევრად უკეთეს შედეგებს უჩვენებდნენ, ვიდრე ქალები და ვეიტები და სპარტაკიადის ჩემპიონებიც ხდებოდნენ. სპარტაკიადის სტარტები ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის დათვალიერებაც იყო და მან ცოტა იმედის მომცემი, მეტად პერსპექტიული ახალგაზრდობა გამოავლინა. გვჯერა რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მტკიცედ დაიკავებენ საპატიო ადგილებს.

სპარტაკიადის საერთო შედეგები გვახარებს, უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა და შეიქვიტ სასურველი მივიღეთ, მაგრამ არასწორი იქნებოდა არ შეგვიმჩნია ზარგი რამ, რომელიც ხელი შეშალა უკეთესი შედეგების მოპოვებას. რა თქმა უნდა, ბევრი რამ, რომელიც საერთოდ და სპეციალისტთა თვალთან შემჩნეული იყო, ცალკე მსჯელობის საგანი გახდება. ეს კი საშუალებას მოგვცემს სპორტის ზამთრის სახეობები უფრო განვავითაროთ და მასობრივი გავხადოთ.

სპორტსმენები სტოვებენ სვერდლოვსკსა და ბაკურიანს. ბევრი გახარებული მიისწრაფვის თავის შობლიურ ქალაქში თუ რაიონში, ზოგი ვერ არის კმაყოფილი თავისი გამოსვლით, მაგრამ ერთი რამ, რომელიც მათ თან ყველაზე სამახსოვროდ მიყვებათ, ეს არის მეგობრობა, რომელსაც ყველგან და ყოველთვის იგრძნობთ არა მარტო სპორტაკიადის დღეებში, არამედ ყოველ სპორტულ პაექრობაში.

Თ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ,
ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ. ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲛᲐᲠᲡᲘ: ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ მონაცემები ჩვენი საიდუმლოებით მოცული მეზობლის — პლანეტა მარსის შესახებ მიღებულია საბჭოთა ავტომატური „მარს-4“ და „მარს-7“ სადგურების ფრენის დროს.

ახლო მანძილიდან გადაღებულმა პლანეტის ფოტოსურათებმა გვიჩვენეს, რომ მარსის ზედაპირი მეტად უსწორმასწოროა, დაფარულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის კრატერებით, დასერილი და დანაოჭებულია.

ამასთან უკიდურესად გასაოცარია, რომ ეკვატორის მიდამოებში (სწორედ ტექტონიკური პროცესების აქტიური გაჩენის ზონაში) არის დაახლოებით 2.000 კილომეტრი დიამეტრის ვრცელი ქვაბული, სადაც არ არის კრატერები და დიდი ფორმის რელიეფი. არა გვაქვს საფუძველი შემოხვევითად მივიჩნიოთ ის, რომ ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე არ არის კრატერები, მაშინ როცა მეზობელი არეები მთლიანად დაცხრილულია კრატერებით. არსებობს ამ მოვლენის ახსნის ორი შესაძლო ვერსია. პირველია ვარაუდი, რომ ეს არის მარსის ზედაპირის მეტად ახალგაზრდა რაიონი, სადაც კრატერები ჯერ არ შექმნილა. მეორე გვაფიქრებინებს, რომ ისინი რაღაც მიზეზის გამო გამქრალან. ზოგიერთი მკვლევარის, მათ შორის საბჭოთა მეცნიერის ვ. დავიდოვის აზრით, მარსის ზედაპირის ქვეშ ადგილ-ადგილ დაფარულია მძლავრი გაყინული წყალსატევები, რომლებსაც ფარავს ფაშარი გრუნტი. ამჟამად დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს მარსის წიაღის ინტენსიური ტექტონიკური აქტივობა, რომელიც წარსულში მოიცავდა პლანეტის ვრცელ რაიონებს. ამას მოწმობენ უზარმაზარი ვულკანური გუმბათები, გიგანტური ბზარები, ღრმა ხევები, მთაგრეხილები და კრატერების ჯაჭვები, რომლებიც ჩანს ზედაპირის ფოტოსურათებზე.

ეკვატორიული მარსის უდიდესი ვულკანური გუმბათი, რომელიც ემოსვლება „ოლიმპის თოვლის“ ნათელ რაიონს, 500-კილომეტრიანია ფუძის განიკვეთში, ხოლო მისი სიმაღლე, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, 20 კილომეტრს აღემატება. ასეთი უზარმაზარ მთას დედამიწაც კი ვერ დაიკვეხნის!

თანამედროვე წარმოდგენით დედამიწაზე ოკეანეთა წარმოშობა დაკავშირებულია ვულკანური აქტივობის პერიოდებში წიაღიდან წყლის ორთქლის გამოყოფასთან და შემდგომ კონდენსაციასთან. თუ ამგვარ პროცესებს ზოგად პლანეტურ ხასიათს მივანიჭებთ, შედარებით ახლო წარსულში (ვარაუდობენ, აქტიური მთათა წარმოშობა მარსზე რამდენიმე ათობით თუ ასობით მილიონი წლის წინათ დაიწყო) პლანეტის ატმოსფეროში გროვდებოდა ძალზე ბევრი წყალი. ამის არაპირდაპირი დადასტურება შეიძლება იყოს რელიეფის ერთგვარი წარმონაქმნები „მარს-5“ სადგურის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებზე, რომლებიც საოცრად მოგვაგონებენ წყლის ნიაღვრებით წარმოშობილ ფართო განშტოებულ არხებს. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ ყოველ 25 ათას წელიწადში მარსის კლიმატი მკვეთრად იცვლება, რაც იწვევს პოლარული ყინულის ინტენსიურ დნობას და გრუნტიდან გაზიბისა და წყლის გამოსვლას. ამ დროს ატმოსფერული წნეხი შეიძლება რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდოს და თხევად ფაზაში წყალს შეეძლო ყოფილიყო რამდენიმე ხანს. საინტერესოა, რომ, ზოგიერთი მონაცემით, მარსზე ამჟამადაც არსებობს წყაროები, რომლებიც ავსებენ წყლის მარაგს ატმოსფეროში. ეს დასკვნა გამოტანილია იმის საფუძველზე, რომ მარსიდან წყალბადის მეტად სწრაფ გაქრობას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა იმ მცირე რაოდენობის ტენის გაქრობა, რომელიც აღმოაჩინეს პლანეტის ატმოსფეროში. ასეთი წყაროო პრინციპულად შეიძლება იყოს გრუნტის ზედაპირული ფენების ქვეშ დაგროვილი წყლის მარაგი. მისი წარმოშობა აიხსნება იმით, რომ წყლის ორთქლი აუცილებლად გადადის ატმოსფეროში და იშლება. მისი კონდენსაცია შეიძლება მოხდეს ზედაპირულ ფენაში, ხოლო წარმოქმნილი ყინულის კრისტალები ფსევიერი გრუნტით იფარება. ასეთ ტენს მრავალი მილიონი წლის მანძილზე სავსებით შეიძლებოდა მოჰყოლოდა ყინულის უზარმაზარი მასების დაგროვება.

ახლა შევეხოთ ზედაპირზე საიდუმლოებით მოცულ და სასიცოცხლო უვნებლად აფეთქებებს. სიკაშკაშის ხანმოკლე ლოკალურ გაძლიერებას უკავშირებენ ზედაპირზე თეთრი ლაქების გაჩენასა და ატმოსფეროს პლანეტისპირა ფენებში წარმოშობილ ღრუბლებს, რომლებსაც ქმნის წყლის ორთქლის კონდენსატი. ატმოსფეროს ქვედა ფენებში ტემპერატურული პირობები და წნევა გამორიცხავენ უშუალოდ ზედაპირზე თოვლის დაგროვების შესაძლებლობას და გვაფიქრებინებენ, რომ უნდა არსებობდეს წყლის ორთქლის ეპიზოდურად მოქმედი წყარო. ეს წყარო შეიძლება იყოს ისევ და ისევ გაყინული „მიწისქვეშა“ წყალსატევი. მეტეორიტების დაცემის, „მარსისძვრების“ თუ რაიმე სხვა მიზეზების შედეგად ზედაპირზე ბზარების წარმოშობას იწვევს ატმოსფეროში წყლის ორთქლის ინტენსიური გასვლა. სწორედ მაშინ ხედავენ ასტრონომები მოელვარე ლაქას ან აფეთქებას.

ამრიგად, მარსის ზედაპირის აგებულების საიდუმლო უკავშირდება ჩვენი დღეების პლანეტოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას — წყლის პრობლემას, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა დედამიწის თანამედროვე სახის ჩამოყალიბებაში.

Ვ. ᲞᲔᲠᲝᲕᲡᲙᲘ,

ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲔᲡᲔᲑᲘᲗ

ᲰᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑ

ᲙᲐᲐᲒᲐ, 18 მარტი. (საკუთარი კორ. ბ. გრიგორიევი). რ. ფიშერისა და პრეტენდენტ მოჭადრაკეთა ტურნირის გამარჯვებულის მატჩი მსოფლიოს პირველობაზე 1975 წლის 1 იანვრამდე უნდა დაიწყოს. თუ ასლანდელი ჭადრაკის გვირგვინის მფლობელი რ. ფიშერი პირველ პარტიაზე არ გამოცხადდა, მას ავტომატურად ჩამოერთმევა ჩემპიონის ტიტული და ეს წოდება მატჩის გაუმართავად მიენიჭება პრეტენდენტს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჭადრაკის მსოფლიოს ფედერაციის — ფიდეს სპეციალურმა კომიტეტმა ამსტერდამში გამართულ სხდომაზე, რომელზეც შეიმუშავეს მატჩის რეგლამენტი.

კომიტეტმა არ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციისა და რ. ფიშერის წინადადება, რომ მატჩი გაგრძელდეს ათ მოგებულ პარტიამდე, ხოლო 9:9 ანგარიშზე მსოფლიოს ჩემპიონმა შეინარჩუნოს წოდება. დადასტურდა ფიდე-ს 1971 წლის კონგრესის გადაწყვეტილება — მატჩი გაგრძელდება ექვს მოგებულ პარტიამდე (ყაიმი არ ითვლება). შეხვედრების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

შეგახსენებთ, რომ ასეთივე პირობით ლიმდინარეობდა ხ.-რ. კაპაბლანკასა და ა. ალიოხინის მატჩი მსოფლიოს პირველობაზე 1927 წელს.

უმაღლესი წოდების პრეტენდენტი ვალდებულია 1975 წლის 31 მარტამდე შეატყობინოს ფიდე-ს პრეზიდენტს, რომ თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მატჩში. მატჩის მოწყობის ადგილი უნდა გამოცხადდეს არა უგვიანეს 17 თებერვლისა. თუ ორივე მონაწილე შეთანხმდა, რომ შეჯიბრება ჩემპიონის, ან მისი მეტოქის ქვეყანაში, ანდა ნეიტრალურ სახელმწიფოში მოეწყოს, მაშინ ფიდე-ს პრეზიდენტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება აქვს პირველი 15 პარტია დანიშნოს ჩემპიონის სამშობლოში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო დარჩენილი პარტიები (ერთი კვირის ხანგამოშვების შედეგად) პრეტენდენტის სამშობლოში — სსრ კავშირში.

როგორც ყოველთვის, კვირაში გამართება სამ-სამი პარტია, რომელთა დამთავრება მომდევნო დღეს მოწყობა.

ავადმყოფობის გამო სამი სათამაშო დღის გაცდენის უფლება არ ვრცელდება პირველ პარტიაზე, ამ პარტიაზე ჯანმოუსახდელობა გამოიწვევს მთელი მატჩის წაგებას. მეტოქეებს აგრეთვე უფლება არა აქვთ მატჩში მონაწილეობაზე უარის თქმის საბაბად მოიმიზეზონ ფიდე-ს მიერ დაწესებული საპრიზო ფონდის ოდენობა.

მთავარ არბიტრსა და მის ორ მოადგილეს ნეიტრალური ქვეყნებიდან მოიწვევენ.

Რ. ᲨᲐᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ — Თ. ᲑᲝᲚᲨᲝᲕᲘᲡ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

მეხუთედ გაიმართა თბილისში საერთაშორისო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში და ხუთიეჯერ გამოვიდა სტარტზე საერთაშორისო კლასის სპორტი ოსტატი, კიშინიოველი ვიქტორ ბოლშოვი.

მძლეოსნობის ვეტერანი, რომელიც ყოველთვის ფავორიტების რიგებში იყო, ვერა და ვერ ახერხებდა სანუკვარი პრიზის მოპოვებას. და აი, კვირას სპორტის სასახლის სარბიელზე გამოსულ 19 მხტომელს შორის იგი ბოლოს და ბოლოს უძლიერესი გახდა. მან მოიპოვა რომის ოლიმპიადის ჩემპიონის რ. შავლაყაძის პრიზი — 214 სმ.

ქალთა შორის კვლავ ისახელა თავი მოსკოვის სტარტებში გამარჯვებულმა, 19 წლის ვიტებსკელმა ტატიანა შლიახტომ. გამარჯვებულის შედეგი 178 სანტიმეტრს უდრიდა.

გუშინ სპორტის სასახლეში გრძელდებოდა უძლიერეს მხტომელთა ასპარეზობა (მეოთხე ტურის უკანასკნელი, მე-16 სტარტი). ვაჟთა შორის გაიმარჯვა ვილნიუსელმა კუსტუტის შაპკამ — 218 სმ, ხოლო ქალებში — თბილისელმა მარინე ალიაკრინსკაიამ — 179 სმ.

ᲓᲘᲓᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲣᲠᲗᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲞᲐᲛᲘᲠᲘ“ (დუშანბე) — 3:1 (2:0).

18 მარტი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი ი. ბალაკინი (დნეპროპეტროვსკი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — გ. გაგოშიძე, ძ. ძოწენიძე, ხ. ტორცილავა, ჭ. ლორქიპანიძე, მ. ფანჩულიძე, ა. ასათიანი, გ. ცაცანავა, გ. ნოდია (ლ. ნოდია), ყ. ყიფიანი.

„ᲞᲐᲛᲘᲠᲘ“ — კარასიოვი, სალეხოვი, ჩენეგჩენკო, კირილენკო, შეროკინი, ფომიჩევი, აზამოვი, ბულგამბაიდაროვი, როდიონოვი, პოგორელოვი, პეტროსოვი.

სტუმართა მოქმედების გეგმა თავიდანვე გასაგები იყო— არ გიეშვათ ბურთი საკუთარ კარში და ეთამაშათ ეპიზოდური კონტრშეტევებით. ამიტომ იყო, რომ „პამირის“ წინა ხაზში პირველ ტაიმში მეტწილად ეუღად ეხედავდით ცენტრალურ თავდამსხმელს პოგორელოვს, ხოლო ნახევარდაცვასა და დაცვაში თავს იყრიდა ფეხბურთელთა დიდი რაოდენობა.

სამწუხაროდ თბილისელთა ნახევარმცველებს დიდად არ უზრუნვიათ თავდასხმის გაძლიერებასა და მეტოქის მასირებული დაცვის გარღვევაზე.

მოთავისუფლედ მაინც გუნდის კაპიტანი ხუტცილავა მოგვიგლინა. მის დარტყმას თამაშის მე-7 წუთზე შორი მანძილიდან ყიფიანის განმეორებითი დარტყმა მოჰყვა— 1:0. არ გასულა 8 წუთი და ყიფიანმა 11-მეტრიანი საჯარიმოდან ბურთი ორადგილ ორიგინალში ორამდე გაზარდა. შესვენების წინ კი როდიონოვი გაეცა მუჯირს, მაგრამ ძელს მოხვდა ბურთი. აქვე ყიფიანი სწრაფად გავიდა პირით ხაზთან, ზუსტად ჩაეწოდა კართან დაბალი ბურთი, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა ასათიანმა აიცილა მას ფეხი.

ზეორე ტაიმში, თამაშის 82-ე წუთზე ყიფიანმა მესამე გოლი გაიტანა. როდესაც ფინალურ სასტვენამდე ხუთიოდე წუთი იყო დარჩენილი, პეტროსოვმა ზუსტად გამოიყენა მარცხნიდან აზამოვის გადაცემა და პრესტიჟის გოლი გაიტანა.

3:1 — თბილისის „დინამო“ გავიდა თასის გათამაშების მერვედფინალში, სადაც ორჯერ შეხვდება „ჩერნომორეცს“: 6 აპრილს— ოდესაში და 27 მაისს — თბილისში.

Ო. ᲜᲝᲜᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი მატჩები. ლენინგრადის „ზენიტმა“ იეანოორანკოვსკოსში ინგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „სპარტაკი“ და მერვედფინალში გავიდა. ასევე ითამაშეს მერვედფინალში მოსკოვის „სპარტაკი“ (ინგარიშით 2:0 სოჭში მოუგო „ტექსტილშჩიკს“), „დნეპრი“ (დიმიტროვი, „კრილია სოვეტოვი“ — 1:0), მოსკოვის „ტორპედო“ (მოუგო ხაბოროვეის „მეტალურგს“ — 2:0), „არარატი“ (ინგარიშით 2:1 სძლია „შინიკს“), ლონეცკის „მაზტიორი“ (ფრედ — 0:0 თამაშმა მოსკოვის „ლოკომოტივთან“), „ნეფტჩი“ (წააგო „პახტაკორთან“ — 1:2), მოსკოვის „დინამო“ (1:0 მოუგო ლიპეცკის „მეტალურგს“), „ჩერნომორეცი“ (მოუგო „ნისტრუს“ — 3:0).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

□ **ᲰᲘᲓᲐᲝᲒᲐ.** თბილისელმა იოსებ მაღალაშვილმა (ჩიტე წონა) კაუნასში მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება სამბოში. დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ მ. ბაგაუტდინოვი (ხელაბინსკი), ა. ემეკი (მაიკოპი), ზ. უმიაროვი (ტერეინსკი), ს. ავდონინი (მოსკოვის ოლქი), ი. კურიციანი (კაუნასი), გ. კოსტოკოი (მაიკოპი), ა. პუშნიცა (ომსკი), პ. ლუბანეცი (კიშინიოვი) და ვ. საუნინი (კიევი), ახლა საბჭოთა სამბისტებს ელით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, რომლებიც გაიმართება მაღრიდსა (ივნისი) და ულან-ბატორში (ივლისი).

□ **ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲘ** გაიმართა ტრადიციული, მეთვრამეტე საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ივანე ზაიკინის პრიზზე, რომელშიც მონაწილეობდა 44 ქალაქის 361 ფალავანი. გამარჯვებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის ორი სპორტსმენია — სოხუმელები ვ. მარშანია და ჯ. ბალათელია.

□ **ᲩᲝᲑᲐᲢᲠᲘᲗᲘ.** თბილისელმა თეიმურაზ კაკულიამ ფინალში მოუგო უნგრელ იანუშ ბენიუს — 1:6, 6:1, 6:3, 6:2 და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ქალაქ ალექსანდრიაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა. ჩემპიონი გახდა აგრეთვე მოსკოველი მარინე ჩუვირინა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია ჩეხოსლოვაკიელ მარია ნაუმანოვას — 6:3, 5:7, 6:4.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ „ქართულ ფილმში“ იდგმება ახალი ფერადი მულტიპლიკაციური ფილმი „ჟა“. სოფლის თემატიკაზე შექმნილი ეს იუმორისტული, თითქმის ფანტასტიკური ფილმი მოგვითხრობს გზის მშენებლობაზე საქართველოს ერთ-ერთ მთიან რაიონში. ფილმის გმირი, რომლის ჭაზეც გზამ უნდა გადაიაროს, თავიანი წვრილმესაკუთრული ინტერესების მსხვერპლი ხდება.

ფილმის სცენარის ავტორია ა. ჯუღელი.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია ვ. სტარიკოვსკი, მხატვარი დამდგმელი — შ. ჭავჭავაძე, მხატვარი მულტიპლიკატორები — ა. ხუსკივაძე, ა. ნერსესოვი, ი. სამსონაძე და სხვები. ფილმს იღებს ოპერატორი ვ. ქაროსანიძე.

მუსიკა ახალი მულტიპლიკაციური ფილმისათვის დაწერა კომპოზიტორმა ნ. ვაზაძემ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნიდან — ფილმის დამდგმელი მხატვარი შ. ჭავჭანიძე (მარჯვნივ) და რეჟისორის ასისტენტი ი. კონსტანტინოვა; ზემოთ — სარეჟისორო სცენარის გრაფიკული გამოსახულება.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ

□ 20 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის — „კოცონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „გრძნობების აღზრდა“ (1 ნაწილი), 17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი კონკურსი“, 19.05 — „რატომ ჩამორჩება მეურნეობა?“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00—ფერადი ტელევიზია—ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲗ ᲗᲐᲡᲖᲔ 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲒᲡᲯᲐ (ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘ) — „ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲐ“ (ᲑᲣᲠ) (გადმოცემა ბულგართიდან), 21.45—„კანონი და კანონიერება“, 22.00 — ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ახალგაზრდული ხმები“ — ბათუმის ზონა. 23.45 — ახალი ამბები, 24.00 — საერთაშორისო შეჯიბრება ძალოსნობაში „მეგობრობის“ პრიზზე (გადმოცემა ერევნიდან).

□ 21 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „გრძნობების აღზრდა“ (II ნაწილი), 16.30—ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ქიმიაში. 17.15 — სსრკ ისტორიაში; 18.00 — განცხადებები, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — კინოალმანახი — „ვარსკვლავა“, 18.55 — მიმართვის სპასუხოდ „შეცნიერება — ხოფელს“, 19.20 — რეკლამა, 19.25 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.55 — „მუსიკალური ლენინიანა“, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „სამართლის ცოდნა მასებს“ — არასრულწლოვანი და დანაშაული“, 21.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მეგობრული ტრადიციების გზით“, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ᲨᲔᲛᲘᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — ახალი ამბები.

□ 22 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა (VI-კლასელთათვის. რეცხვითი სახელი), 11.25 — სატელევიზიო ფილმები, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „პრინცესა ლუსკას ნაპირი“, 16.00—სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.00 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად — სოციალური რევოლუციები, 18.15 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.05 — მოსწავლეთათვის — „ასვრცელა“. 19.55 — „ვადაგაქციოთ მეცხოვლეობა რენტაბელური დარგად“, 20.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 20.55 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — „დამფიქრებელი, მოსაგვარებელი“, 21.45—კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „მოვდიავარ შენსაკენ“, 23.40 — ახალი ამბები.

□ 23 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 11.20 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.50 — მხატვრული ფილმი „შემთხვევითი მისამართი“, 13.10 — კინონარკვევი. 13.20 — „30 წუთი კინოსმოყვარულთათვის“, 13.50 — „ᲯᲐᲜᲛᲗᲠᲔᲚᲝᲑᲐ“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.20 — კინონარკვევი. 14.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: „მუულტანორამა“, 15.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,

16.35 — პოეტ სერგეი მიხალკოვის საავტორო კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „კანონიერების სად